გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბაზუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი


### მთავრობის განკარგულება

**გამოწვევა სამხედრო ბეგარის გადასახდელად.**

ტფილისის სამხედრო ბეგარის გამგეთა კრებული აცხადებს, რომ თავის მოქმედებას, შესახებ ჯარის კაცთა მოკრებისა, დაიწყებს პირველ ნოემბრიდამ. ამ დღეს, დილის რვა საათზე, ცირკის შენობაში, გოლოვინის პროსპექტზე, უნდა გამოცხადდნენ:

1) ისინი, ვისაც წლოვანობა სახეზე უნდა შეატყონ, სამხედრო ბეგარის წესდების მე-109 და 112 მუხლის ძალით;

2) ისინი, ვინც უკენჭოდ უნდა წავიდნენ სამსახურში, ძალითა მე-158, 217 და 218 მუხლისა სამხედრო ბეგარის წესდებისა;

3) ისინი, ვინც მიიღო ვადა მომავალ მოწოდებამდის;

4) ყველა ისინი, ვინც წელს მოწვეულნი არიან სიებით.

ამ მოწოდებულთაგან არ მოვლენ მხოლოდ ისინი:

ა) ვინც ან მღვდლად შევიდა მართლ-მადიდებელ სარწმუნოებაში, ან რომელსამე საქრისტიანო სარწმუნოებაში და ან მართლ-მადიდებელ დიაჩოქად;

ბ) ვინცა სწავლობენ სადმე სასწავლებელში და ვადა აქვთ მიცემული სწავლის კათავებამდე;

გ) ვინც მიიღო ვადა იმის გამო, რომ სამსახურში არიან ხელ-წერილით შეკრულნი სავაჭრო ფლოტის გემებზე;

დ) ვისაც ოჯახობის მდგომარეობის ძალით მიენიჭა პირველ ხარისხის შეღავათი. (3—3)

---

ტფილისი, 9 ოქტომბერი

ექვსს ამ თთვისას შესდგა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კრება, რომელსაც სჯა ჰქონდა იმის თაობაზე, თუ როგორი სამეურნეო გამოფენა გაჰმართოს და რა საშუალებით. ამ სხდომის ანგარიში დაბეჭდილი იყო ჩვენს გაზეთში. ჩვენს ანგარიშში მომეტებული ყურადღება ჩვენ ვათხოვეთ სამეურნეო გამოფენას, რომელსაც, იმედია, ყველამ, ვისაც შეუგნია მეურნეობის წარმატების მნიშვნელობა, ჯეროვანი ყურადღება მიაქცია. „საზოგადოებამ“ გადასწყვიტა, თუ როგორი გამოფენა გამართოს და რა საშუალებითა. თავდაპირველად „საზოგადოებას“ განზრახვა ჰქონდა გაემართა ვრცელი, საყოველთაო გამოფენა, რომელშიაც უნდა მოეთავსებინათ ყველა ნაწილი, განყოფილება კავკასიის მეურნეობისა და მით ეჩვენებინათ ყველასათვის ღირსება და ნაკლულევანება ჩვენის მრავალ-ფეროვანის მეურნეობისა და დაენახვებინათ, რამდენად იგი წარმატებულია და ან შეფერხებული და უკან დარჩომილი; მაგრამ, როგორც საქმეთა ვითარებამ დაგვანახვა, „საზოგადოებას“ არ ძალ-უძს საკუთარის ღონის-ძიებით განახორციელოს თვისი განზრახვა და არც იმედი აქვს, საკმაო ღონის-ძიება აღმოუჩინოს რომელმამე დაწესებულებამ გარდა სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსი. ამიტომაც „საზოგადოებამ“ დაადგინა გამართოს სპეციალური გამოფენა, რომელიც არ უნდა შეიცავდეს ყველა განყოფილებას ადგილობრივის მეურნეობისას; ამ გვარს გამოფენაში, თუ შესძლეს, უნდა მოათავსონ განყოფილებანი მიწის-მოქმედებისა, ვენახისა და აბრეშუმის კეთებისა. ასე და ამ გვარად პირვანდელი დიდად საყურადღებო აზრი საზოგადოებისა უქმი გამოდგა, რადგანაც მოესპო იმედი ტფილისის თვით-მმართველობაზე, რომელსაც მიჰმართა და სთხოვა ფულით დახმარება, ესე იგი, ქალაქის გულ-გრილობამ კეთილ საქმისადმი და საკუთარმა ხელ-მოკლეობამ «საზოგადოებას» ხელი შეუშალა პირვანდელი განზრახვა განეხორციელებინა.

ეს საუბარი იმისათვის გავუმართეთ მკითხველს, რათა ვუჩვენოთ, თუ რამდენად და რა გვარი გამოფენა გვესაჭიროება. საზოგადოდ კავკასია და კერძოდ საქართველო მეურნეობის, მიწის-კეთების ქვეყანაა, რომლის ავ-კარგიანობა წარსულშიაც განსაკუთრებით მეურნეობაზე იყო დამოკიდებული და მისი მოსავალი კეთილ-დღეობა იმავე მეურნეობაზე უნდა იქმნას აგებული. იგი ქვეყანა იმოდენად მრავალ-ფეროვანია, იმისი მრავალ გვარი თვისებანი, ბუნება სხვა-და-სხვა ნაწილებში იმოდენად სხვა-და-სხვაობენ, რომ კავკასიაში არსებობს ყოველი ნაწილი მეურნეობისა. ამ ქვეყნის ბუნება იმდენად უხვი და მდიდარია, რომ სამერმისოდ მაინც აქაური მეურნეობა უნდა აჭყვავდეს და გაძლიერდეს იმოდენად, რომ კავკასიის მცხოვრებლებმა დაიმკვიდრონ ნამდვილი კეთილ-დღეობა და ეკონომიური შემძლებლობა. ამიტომაც საჭიროა მომეტებული ყურადღება ვათხოვოთ ჩვენს მეურნეობას, მეტი შრომა და ცდა დავდოთ იმის ასაყვავებლად და გასაძლიერებლად. უნდა ვეცადოთ აღმოვაჩინოთ და შევისწავლოთ აწ არსებულის მეურნეობის ღირსებანი და ნაკლულევანებანი, უნდა ვიზრუნოთ მასზე, რომ რამდენადაც შესაძლოა, მომეტებული სამეურნეო სწავლა-ცოდნა გავავრცელოთ ხალხში. ერთის სიტყვით, უნდა ვიხმაროთ ყოველ გვარი საშუალება, ღონის-ძიება იმისათვის, რომ მეურნეობა წარმატების გზაზე დავაყენოთ და ავაყვავოთ. ერთი ამ საშუალებათაგანი, უეჭველია, გამოფენაა, რომლის მნიშვნელობა შეუგნიათ ყოველს დაწინაურებულს ქვეყანაში, სადაც არა თუ მარტო მმართებლობა ხელს უწყობს და ეწევა გამოფენას, არამედ საზოგადო დაწესებულებანი და კერძო კაცნიც-კი ეხმარებიან და ეწევიან ხოლმე. ევროპაში ძალიან ხშირია სხვა-და-სხვა გამოფენა და რაოდენს მეცადინეობას ხმარობენ იმისთვის, რომ, რამდენადაც შესაძლოა, უფრო კარგად მოაწყონ გამოფენა, ეს ყველამ კარგად უწყის. სხვა ქვეყნებში უკვე შეუგნიათ, რომ გამოფენა ძლიერი საშუალებაა იმ საგნის წარმატებისათვის, რომელიც უნდა გამოაფინონ და ქვეყანას დაანახვონ. გამოფენის შემწეობით შესაძლოა ადამიანი დაუკვირდეს საკუთარსა და სხვის ნაწარმოებს, ასწონ-დასწონოს იმისი ღირსება და ნაკლულევანება და ერთი-ერთმანერთს შეადაროს სხვა-და-სხვა ნაწარმოებნი. თვითოეული შეგნებული ერი, საზოგადოება, მოწადინებულია საკუთარის ცხოვრებისა, მეურნეობისა, ვაჭრობისა, მრეწველობისა და სხვა ნამოქმედარი უჩვენოს სხვებსა და თვითონაც ნახოს სხვისი. გამოფენა აორკეცებს ადამიანთა მეცადინეობას, ბეჯითობას, ცოდნას და ავრცელებს იმ ერის, ან საზოგადოების ნამოქმედარს და ნაწარმოებს, რომელიც გამოფენას ჰმართავს. თუ რომელისამე ერისა ანუ საზოგადოების მეურნეობა, მრეწველობა და სხვ. სხვისათვის უცნობი და სხვა-და-სხვა მიზეზთა გამო ხელ-მიუწვდენელია, მაშინ გამოფენა ჩინებული და საუკეთესო სახსარია იმისათვის, რომ იგი მეურნეობა, ან მრეწველობა ცნობილ იქმნას, იმისი ავ-კარგიანობა ყველამ გაიცნოს. აი, ის მიზეზნი, რომელნიც აიძულებენ ყველას, ვინც ქვეყნისა და ერის წარმატებას ემსახურება, გამოფენას ხელი შეუწყონ და შეძლებისადაგვარად დაეხმარონ.

ამავე მიზეზების გამო კავკასიისათვისაც აუცილებლად საჭიროა სამეურნეო გამოფენის გამართვა. ყველას გაუგონია, რამდენად მდიდარი და უხვია კავკასია, ყველას შეტყობილი აქვს, რომ მეურნეობა უხსოვარ დროიდგან შეადგენს კავკასიის მკვიდრთა ყოფა-ცხოვრებისა და ისტორიის დედა-ძარღვს, თუ ერთად-ერთს არა, უმთავრესს სახსარს მაინც ცხოვრებისას, წარმატებისას; მაგრამ უმეტესობას ნამ-

---

# ფელეტონი

### ფშაური ლექსები

ფშავში შეკრებილი დ. ხიზანაშვილის მიერ

ქართლიდანა გამოვთხოვედი
კოხტა ქალი, მეო;
ჩავიცვი და დავიხურე,
კარგა მოვირთეო;
წავიგლისე უმარილი,
ფერი ვიპარბეო.
ცივ წყაროზე რომ მოვედით,
სადილი ვჭამეო;
შუა გზაზედ რომ მოვედით,
ცხენს ავუჩქარეო;
მაყრიონი მამძახოდა,—
ქალ დაგვიცადეო;
მე იმათ ლაყაფ-ლუყაფსა
ყური არ ვუგდეო.
სოფლის პირში რომ მივედი,
ვარდი ავკონეო;
სანთლის შუქი დავიმახე,
იქ მიეატანეო;
მულები გამამეგებნენ,
არ მიესალმეო.
ცხენს ალვირი წამოვყარე,
შინ შავიწიეო;
კარებშია რო მიველი,
თაფლი შავლოკეო;
სამჯერ კერას მაუარე,
ჯამი გავტეხეო;
მივიხედე-მოვიხედე,
საჯდომს დავხედეო;
ბალიში რომ არსად იდვა,
ჯეჯიმზედ დავჯეო;
იქით-აქათ პურსა სჭამენ,
პური მშიან მეო.
ცალკე რომ მიმიპატიჟეს,
ის მიამა მეო;
ტაფა რომ დააჩხარუნეს,
ის მიამა მეო;
ათი კვერცხის ერბოკვერცხი
მარტომ შევჭამეო;
დიდი ლუკმა ამოვიღე,
სხვას მოვეფარეო.
სტაქნით ღვინო მამაწოდეს,
ის მეწყინა მეო!
ნახე ლიტრა მამაწოდეს,
ის მიამა მეო!
დაველიე და გამოვცალე,
გამოვაგორეო;
მამამთილს წვერი ვაგლიჯე,
კალთას ვუყარეო;
დედამთილი გავმუგზურე,
მული გავჯოხეო;
მაზლი კარს ეფარებოდა,
აგებ გადავრჩეო.
ქმარი სამკალზედ გავგზავნე,
მჭადი ვუსესხეო;
მაწონსა თავი მოვხადე,
დო შეუნახეო;
სალამოზედ რომ მოვიდა,
დო მაუტანეო.

—

აიმ მთაზედა ყორნები
ბუდობენ, არ იშლიანო;
მაშ რა ვქნა, არ გადმოეხედნო,
თვალნი არ დაიშლიანო.
ნეტავი, ქალო, ლამაზო
ნდობას არ მისცა შიშია!
დაიმალება ხოხობი
შენ წარბ-წამწამის ჩრდილშია!..

—

მინდორში გავხდი ავათა,
ოხერი ოხრათ ვიარი!
ქირი მჭირს, აღარ მეშვება,
აქავ თუ მამკლავს ტიალი.
ჩემს დებს უთხარით საწყლებსა,—
დღე დაგიბნელდათ მზიანი;
ხელისახოცი დაჯიგრონ,
ჩიქილა ჭრელ-ფესვიანი.

—

აიმ მთაზედა თეთრი ქვა
აპირებს ჩამოღნობასა;
ბევრიც რო გყვანდეს ერთგული,
ვერ გიზამს ჩემოღნობასა!
არ გათენდება სთვლის[69]) ღამე,
ღამე ბნელობა-კი არი;
მთქმელო, ვერ გამცხადებელო,
რაღა შენ სიცოცხლე არი!?

—

ქაჯუეთსა ვარ ციხეში,
თავი ღურბელთა მიბია;
ხელში მიჭერავ ჩხირ-წინდა,
ზედ ოქროს შიბი მიბია;
წინ სუფრა მიდგა სევდისა,
ზედ კვიცის ხორცი მიწყვია;
მშიან და ვერ მიჭამია,
რჯული ვერ გადამიგდია;
თუ გელიშნება, ილიშნე,
ფადლაურს[70]) შამეყარეო,
ყურძენიც მამეც, ვაშლიცა,
კაკალიც ჩამიყარეო!..

—

დამასტეს ვარდნი ყოდეს,
ძირადნი ერთის ხისანი;
შესახვევნელად მიემართე—
მკლავენ ყოფილიყვნეს დისანი;
ვაჰ, რაზედ გამიწყრებოდეს,
თვალნი ზევითის ღვთისანი!
არც შამიშვებდეს შავეთში,
არც შემფარავდეს ქვიშანი!

—

ლომო, შე ლომის მოკლულო
ხადხეორხაის ძირსაო!
ვინ შაგილება მხარ-ბეჭი,
წითელი პერანგისაო?!
ვინ ამოგტეხა კბილები,
თეთრები ბროლივითაო?!
ლამაზად დაგიტირებდი,
ხათრი არ მქონდეს ქმრისაო!..

—

მთაში ღორმა დაიკვეხა—
ბევრგან გავიკეთე ბინა!
ვერცარას თოვლი დამაკლებს,
ვერც რას შემოდგომის წვიმა!
მე რომ კბილებს დავილესავ,
ვერვინ დამიდგება წინა!

—

დათვმა სთქვა: ვენახე სიზმარი
რაც რომ თავს გადამხდებოდა;
სოფლის თავს გადმოვიარე,
სოფელი ჩოჩქორდებოდა;
ჯაჭვით დაბმული მყეფრები

---

[69]) რთველი

[70]) მთა ფშავში

დვილი აზრი ვერ შეუდგენიათ იმის თაობაზე, თუ რისი შემძლენი არიან კავკასიის ბუნება და მკვიდრნი. ყოველივე ესე მხოლოდ ბუნდად იციან, ყველანი კავკასიას უყურებენ ვითარცა საკვირველებათა ქვეყანას, მაგრამ ჩვენ თითქმის არავითარი ღონის-ძიება არ გვიხმარია იმისათვის, რომ ქვეყნიერებისათვის დაგვენახვებინა იგი საკვირველებანი, ქვეყნის სიმდიდრე და სიუხვე, მკვიდრთა ბეჯითობა, სამეურნეო ცოდნა და ადგილობრივის ვითარების ღირსება და ნაკლულევანება. ბევრიც არა გაგვიკეთებია-რა სხვათა შორის იმისათვის, რომ ადგილობრივი მეურნეობა წინ წაგვეწია და გაგვეძლიერებინა...

ზემოდ მოხსენებულიდგან ცხადია, რომ აქაური სამეურნეო საზოგადოება დიდის მადლობის ღირსია იმისათვის, რომ განიზრახა სამეურნეო გამოფენის გამართვა. პირვანდელი განზრახვა «საზოგადოებისა» იმის თაობაზე, რომ ვრცელი საყოველთაო გამოფენა გაემართა, მეტად საყურადღებოა და პატივ-საცემია. კავკასიელთ გამოფენა მართლა რომ ვრცელი უნდა იყოს, რადგანაც თვით კავკასიელთ მეურნეობა ვრცელი და მრავალ გვაროვანია. კავკასიელმა გამოფენამ უნდა დაანახვოს ადგილობრივს და უცხო საზოგადოებას მთელი მეურნეობა ქვეყნისა და ეს მეურნეობა ხომ, როგორცა ვთქვით, იმოდენად მრავალ-გვაროვანია, რომ შეიცავს ყველა ნაწილს, განყოფილებას მეურნეობისას. გამოფენამ, ვითარცა სარკემ, უნდა დაანახვოს ყველას მეურნეობის ერთი ან ორი ნაწილი-კი არა, არამედ მთელი მეურნეობა თვისის ღირსებითა და ნაკლულევანებითა. აი, სწორედ ამიტომ პირვანდელი აზრი სამეურნეო საზოგადოებისა სამართლიანი და საყურადღებოა, მაგრამ, სამწუხაროდ, კეთილს და სამართლიანს განზრახვას საზოგადოებისას ფრთა შეეკვეცა საკუთარის ხელ-მოკლეობის გამო. ტფილისმა, სხვა ქალაქებთან შედარებით უფრო შეძლებულმა, ხელი არ მისცა საზოგადოებას და ჯერ-ჯერობით ერთი-და იმედია სახელმწიფო ქონებათა სამინისტროზე, რომელიც, უეჭველია, ხელს მოუმართავს სამეურნეო საზოგადოებას. ამ ხელ-მოკლეობის გამო სამეურნეო საზოგადოება იძულებული შეიქმნა თავისი პირვანდელი აზრი დაეტოვებინა და საქმე სხვა რიგად დაეყენებინა. რადგან იმისთვის შეუძლებელი აღმოჩნდა ვრცელის გამოფენის გამართვა, ამიტომაც მან განიზრახა ისეთის გამოფენის მოწყობა, რომელიც უნდა შეიცავდეს ორსა ან სამს განყოფილებას მეურნეობისას, ისიც მაშინ, თუ ამისათვის საკმაო ღონის ძიება ექმნება. სულ არაობას ესეც სჯობია; ეგეთი განზრახვაც საყურადღებო და პატივსაცემია, მაგრამ ამ გვარს გამოფენას ის მნიშვნელობა არ ექმნება, რომელიც ვრცელს გამოფენას ექმნებოდა, რადგანაც ამ გვარი გამოფენა მთელს მეურნეობას არ დაგვანახვებს და არ გაგვაცნობს. მაინც და მაინც ვისურვოთ, რომ ამ კეთილს საქმეში სამეურნეო საზოგადოებას არავითარი დაბრკოლება არ გადაეღობოს წინ.

რასაკვირველია, გარდა იმ შემწეობისა, რომელსაც, უეჭველია, სამინისტრო მისცემს სამეურნეო საზოგადოებას, საჭიროა სხვაგანაც აღმოაჩინონ საჭირო საშუალებანი „საზოგადოებამ“ ყოველგვარი ღონის-ძიება უნდა იხმაროს, რომ სხვა ქალაქებს მიაღებინოს მონაწილეობა გამოფენაში და თუ ტფილისის მაგალითი გადამდები არ გამოდგა, უეჭველია, კავკასიის სხვა ქალაქებიც დაეხმარებიან კეთილს საქმეს. აგრეთვე ჩვენმა თავად-აზნაურობამაც ხელი უნდა მოუმართოს. მართალია, როგორც „სამეურნეო საზოგადოების“ ვიცე-პრეზიდენტმა სთქვა,—ჩვენი თავად-აზნაურობა ხელ-მოკლეა, მაგრამ მცირედს, შეძლებულს ნაწილს ამ თავად-აზნაურობისას შეუძლიან მონაწილეობა მიიღოს გამოფენაში, რადგანაც ნება არა აქვს სთქვას, რომ ხელ-მოკლე და ღარიბი ვარო.

ნა—ლი

# ახალი ამბავი

*** გუშინ დილით, ექვს საათზე, ტფილისში მიწა იძრა. გუგუნი არ ისმოდა. მიმართულება ჰქონდა აღმოსავლეთიდამ დასავლეთისაკენ. დიდუბეში უფრო ცხადად შეატყობდა კაცი მიწის-ძვრას, ვიდრე სხვა ნაწილებში. მეტადრე მაღალ შენობებს ეცნეოდათ ტოკვა.

*** კუკიის ზოგიერთ ქუჩებს გუშინ ძლივს ელირსათ დაგვა. დილით ცოტა კაი ამინდი სჩანდა. კუკიელებს უხაროდათ, რომ ქუჩებს უსუფთავებდნენ, მაგრამ ძალიან მოკლე იყო სიხარული. ნაგავი ქუჩის პირებზე დააგროვეს. ნაშუადღევს ასტყდა საშინელი ქარიშხალი და ამ ნაგავის ზვინებიდამ ისეთი კორიანტელი ადიოდა, რომ არა თუ მარტო მგზავრი შეეცოდებოდათ, სახლში მყოფნიც ირჩობოდნენ მტვერითა.

*** გუშინ მართლ-მადიდებელ სემინარიის ჩასავალზე კინტოს კვერცხით სავსე თაბახი მიჰქონდა. ცხენმავალას ვაგონმა წამოჰკრა თავისი ჩარდახი თაბახს, გადმოუგდო ძირსა და სულ დაუმტვრია საწყალს კაცს, რაც-კი შიგ კვერცხი ეწყო. ვინ იცის, იქნება მთელი საცხოვრებელი იმ კინტოსი იყო ის ერთი თაბახი კვერცხი!..

*** ამ ხანებში დაიბეჭდა და ისყიდება წიგნის მაღაზიებში პატარა წიგნი: „ექიმობა და დარიგება ქალის ავადმყოფობაზედ ორსულობის დროსა და იმის შემდეგ“. ეს ფრიად საყურადღებო და საჭირო წიგნი შეუდგენია საგარეჯოს მასწავლებელს, ბ-ნ ალექსანდრე ცხვედაძეს. ფასი ამ წიგნისა სულ ორი შაურია. უეჭველია, ჩვენში—სადაც თითქმის არავითარიმე სახელმძღვანელო წიგნი არ მოიპოვება ქართულს ენაზედ, რომ ადამიანმა ორსულობის ავადმყოფობაში მიჰმართოს და რამ შვება გამოინახოს,—ამ პატარა წიგნს სიხარულით მიეგებებიან ჩვენი ქართველი ქალები.

*** სოფ. ართანის ახლო ბ-ნ ყარანგოზიშვილს აღმოუჩენია ერთი საკვირველად ნაშენი ეკკლესია, რომელსაც გვერდებზე არსაიდამა აქვს კარები და ჩასავალი მხოლოდ ზემოდამა აქვს თურმე. ბ-ნი ყარანგოზიშვილი ჩასულა და იქ უნახავს ერთი ძველებური კრამიტი, რომელზედაც რაღაცები აწერია. ეს კრამიტი მპოვნელმა წარმოუდგინა „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“, რომელსაც ჯერ არ გაურჩევია, თუ რა სწერია.

*** თიანეთში ეხლა ოთხის მაზრის გლეხობიდამ გამოყვანილია ხალხი 1500 კაცამდე, რომელთაც უნდა გაიყვანონ გზა თიანეთიდამ სოფ. ნაფარეულამდე. მუშაობა გაცხარებულია. უკვე გასჭრეს დიდი ტყე ყარალაშვილებისა.

*** კახეთის სოფ. ქისტაურსა და ახმეტაში ძალიან აქებენ წლევანდელს მოსავალს ღვინისას როგორც რაოდენობით, აგრეთვე ღირსებითაც.

*** ამას წინად ვაცნობეთ მკითხველებს გურიის მილიციის დათხოვნა. ეხლა ჩვენა გვწერენ, რომ ყვარლის მილიციაც დაითხოვესო.

*** თიანეთში ამ შემოდგომაზედ მოკრიბეს ჯარის-კაცნი კენჭის ჩამოტარებით. როგორც გვაცნობებენ, გარდა იმ 33 კაცისა, რომელნიც მოვალენი არიან სამსახურისა, შესულა თავის ნებით კიდევ ხუთი ფშაველი ჯარის-კაცადა.

*** ქუთაისი: ბ-ნმა ვ. აბაშიძემ დაიწყო აქ ქართულ წარმოდგენათა სეზონი, რომელიც უნდა გაგრძელდეს, მისის აზრით, იმ დრომდე, სანამ ტფილისში დაასრულებენ არწრუნისეულ თეატრის გადაკეთებას. ვერ ვიტყვით, რომ პირველს წარმოდგენას კარგად ჩაეარნოს. ამის მიზეზი, რასაკვირველია, ის უნდა იყოს, რომ წარმოდგენაში თვით აბაშიძის მეტი არავინ ერია ნამდვილ არტისტთაგანი, და ერთი კაცი, რაც უნდა იყოს იგი, ყველაფერს ვერ გახდება. თვით ბ-ნი აბაშიძე ჩვეულებისამებრ კარგად თამაშობდა, ასე რომ ყოველი მისი სიტყვა, მიხვრა-მოხვრა სასიამოვნო იყო მაყურებელთათვის, თუმცა ბოლომდე-კი ვერ გაატარა თავისი როლი (თამაშობდა „ძუნწის“ როლს) იმავე სინამდვილით, როგორადაც დაიწყო. მაგალითად, მან ვერ გამოხატა, ჩვენის აზრით, სინამდვილით ის მწუხარება და დრამატიული მდგომარეობა, რომელიც ეწია „ძუნწს“ ფულის დაკარგვის გამო. სხვა მოთამაშეები ხომ ღმერთმა შეინახოს. ბ-ნი ლომიძე იმერლის როლში („მათიკოს“ ერთი მოქმედებაც წარმოადგინეს) არც იმერელსა ჰგავდა, არც კინტოს... ქალებზე ვერაფერს ვიტყვი, ერთი იმისთვის, რომ იმათი წყრომისა მეშინიან, და მეორე იმისთვის, რომ ახალად გამოდიან სცენაზედ. ქ. ლორთქიფანიძისამ გვარიანად წარმოადგინა სიანჩხლე, მაგრამ ამ გრძნობას საკმაოდ კარგად გამოჰხატავს ყველა ჩვენებური ქალი, და მაშასადამე ეს გარემოება მოთამაშეს ღირსებად არ ჩაეთვლება. საზოგადოდ უნდა ვსთქვა, რომ ჩვენ ხალხს, როგორც ფრანგებს, კომედიები უფრო მოსწონს დრამებზედ. ბ-ნი ვ. აბაშიძე რომ აქაურ მოთამაშეებსაც შეიამხანაგებდეს და ერთად გაჰმართავდნენ წარმოდგენებს, უფრო ხშირად-კი კომედიებისას, იმისათვისაც უმჯობესი იქნება და ჩვენც კმაყოფილი დავრჩებით.

*** შორაპნის მაზრა: 1 ოქტომბერს სოფელ ქვედა-საქარაში მცხოვრებს ქურივი გაცარცვეს და წაიღეს ქალის და კაცის ტანისამოსი, ოცი მანეთი ფულად და კიდევ სხვა რალაცეები. ავაზაკები ვერ იპოვნეს. ეჭვი აულიათ მეზობელზე.

*** პეტერბურგის „საეკონომიო საზოგადოებას“ გამოუცია მეორე ტომი თავისის ჟურნალისა. ამ ტომში სხვათა შორის დაბეჭდილია შემდეგი წერილები: „კავკასიის მეღვინეობა“, ა. ს. ერმოლოვისა; „მევენახეობისა და მეღვინეობის მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში“, თავ. ჯორჯაძისა, და „აქციზი და ჰაჰის არყის წარმოება კავკასიაში“, ი. ტ. ტარასოვისა.

---

სუ მაღლა-მაღლა ხტებოდა.
ვაჟაი—ქალის პირაი
გორს უკან მემალებოდა;
ვაჟაი სვილის ფერაი
ხმალ-და-ხმალ მეტანებოდა;
ხმალ დამკრა საქოჩრეშია,
გონი და გონი მხდებოდა;
ტოტი მეც მოვკარ, ბუჩამა,
ფეხზედ ვერც ისი დგებოდა.

—

— ნიადაგ მადლი ექნება
ამ წისქვილის ამშენესა!
ერთს დღე-ღამეს ძლივას დაჰფქავს
ერთის ბალღის საკვერესა!
— ჰავჰავაძესთან არ წავალ,
ჩემს კარზე-კი მაყენებსა;
წადი „მინდის“ წისქვილშია,
ბარაქას ის გაჩვენებსა;—
მეწისქვილე დაგიხვდება,
გუდას დაგინახევრებსა!

—

შაიყრებიან დევები,
სადაც დიდ მეედანია;
გაარიგებენ იმასა—
ერთურთს უჭიროთ მხარია;
ღვთის-შვილთ მაუკლათ კოპალა,
თავში დაუცნეთ ქვანია.
გაიგეს ესა ღვთის-შვილთა,
ჩაგზავნეს იახსარიო:
ცხრა დევს რომ დედა ჰყოლიყო,
ცხრათივე გამზდელი არიო;
ცხრანივ იმაში ჩახოცნა,
თავს დააქცია ბანიო!
მეათე თავ-ქვე გაიქცა,
თან ჩაჰყვა იახსარიო;
იმასაც კარგა სცოდნიყვნენ
საბაზალეთო გზანიო,
უძირო ტბაში ჩავარდა,
თან ჩაჰყვა იახსარიო;
იზიდნა, ვერ ამოიღა,
სისხლით გაებნეს გზანიო.
იმის ყმათ ბევრი ეძებეს;
ოთხ-რქა, ოთხ-ყურა ცხვარიო,
მიიყვანეს და ჩაუღლეს,
ამოვა იახსარიო.

—

შვიდის წლისა გვყავ ბატონი,
თამარი დედოფალიო!
ზღვათა გადაჰკრა ჩიქილა,
გადააქანა ზღვანიო;
შუა ზღვას ჩადგა სამანი,
არ გადავარდეს ცვარიო!
ბრალია შენი სიკვდილი
ფუძნარში [11]), ჰავჰავაძეო;

[11]) სოფელია თიანეთის და დუშეთის მაზრის მიჯნაზედ.

თავზედ გჭირს სამი ნახმლევი,
ზედ ერბო კვერცხი გაძეო!

—

სიკვდილმ სთქვა: ზღვა-ზღვა წამოვედ,
ზღვა ჩქეფით შამოვიარე;
შევკმაზე თავის ლურჯაი,
ხმელეთ სუ შამოვიარე.
გადმაუხედენ ფშაველთა,
ყოდეს როგორც იანი;
ჩაველირე და ვერ ჩაველ,
ხატი ჰყოლიყო ძრიანი;
შორს გზაზედ ამამეგება,
შავარდენივით მხრიანი.
გადმაუხედენ ხევსურთა,
შავნ იყვნეს, როგორც ჭიანი,
ჩაველ და ისე ჩავთიბენ,
როგორც ნალევმა [12]) თივანი.
ბევრს კარი გამაუჯარე,
ბევრისა ისრივ მლე არი;
ბევრისა დედა ვატირე,
ბევრისა ცოლი თმიანი;
ბევრისა თოფი შავკიდე,
სიათა, პირ-კომლიანი;
ბევრისა ხმალი დავაგდე,
ფრანგული, ფხა-სისხლიანი;
ბევრის ქალისა გავწირე
კალათა ჩხირ-წინდიანი.

—

[12]) გაცვეთილი ცელი.

რა იცის წუთის-სოფელმა [13])
შავეთს რა სამართალია?
შავეთს ხარი ხნავს ცალა-რქა,
ბარაქა მესტუმრისია.
შენ რომ ქრთამს ეშურებოდი,
მეც აღარ მოგიშალია;
მოვიდეს ჩვენი მწერლნი,
ჩვენ გვქონდა სამართალია;
შუაზედ ბეწვი გაწყვიტეს,
ეგ არი მაკრატელია;
ვაი ამ ბეწვის ხიდზედა
რა ძნელი გასავლელია!...
ქვეშ შავი წყალი გამოდის,
ზედ მაუგდია პერია;
მაგ ჯოჯოხეთის კუთხესა,
რა ძნელი შასასვლელია!
ცოდვინას შააბრუნებენ,
გზას ნარ-ეკალი ჰფენია;
შიგა დგა კუპრის ქვევრები,
დუღს და ამოდის ცხელია;
გარშამო ეშმაკებ უდგა,
ძირში ანთია გენია.
კაცს კაცის მოღალატესა
ჩაუყვეს ენის წვერია,
მამამ შესჩივლა უფალსა,
ეგ დიდის ცოდვის მქნელია;

[13]) ჯოჯოხეთის აღწერა.

ხელი ჰკრეს, ჩააგდეს შიგა,
მანდა ხარ შესაფერია.
თან ეშმაკ გადააყოლეს,
რომელიც უფრო შტერია;
კარგა მეექე, ეშმაკო,
მაგისი სული შენია;
მალ-მალ ჩაასხი პირშია
ნადუღი კუპრი ცხელია;
კაცისა მკვლელიც იქ არი
ნათლიის შემგმანელია.

—

შავეთს რა გვიჭირს უკლოთა [14]),
წინ შუქი გვიდგა სანთლისა;
თეთრის ტირიფის სახლ გვიდგა,
შიგ კომლი ბრუნავს საკმლისა;
სკამ გვიდგა სასვენებელი,
კარ გვიბავ ცოდვა-მადლისა.
წინ გვიდგა ოქროს ტაბაკი,
სალალებელით ბალღისა;
ზედა დგა ჰიქის ჰურჭლები,
სავსე ნაკურთხის სასმლითა.
გვერდით რომ წყარო ჩამოდის,
პირის საბანი ქალ-რძლისა;
გვერდით გვიბავის ცხენები,
დაყაჯრულები, ლაგმითა;
თუ საღ ხმა გატყდეს, იძახონ,

[14]) მიცვალებულის სული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**დირბი (ქართლი), 4 ოქტომბერი.** ძველად ჩვენს მეფეებს და აგრეთვე კერძო კაცებსაც შეუწირნიათ მამულები სხვა-და-სხვა მონასტრებისათვის, რომელიც ააგეს იერუსალიმში, ათონზე და სხვაგან. ამ მონასტრებში ქართველი ბერები სცხოვრებდნენ, ქართველს ხალხს მისვლა-მოსვლა ჰქონდა ხშირი, და ამიტომ საჭიროდ დაუნახავთ, რომ სასაზრდოებლად მიეცათ მამული. ქართლიდამ სამი ოთხი სოფელია შეწირული: დირბი და ტახტამირი ეკუთვნის იერუსალიმის ქრისტეს საფლავის მონასტერსა, არგუთი და მეღვრეკისი მგონი სინას მთის მონასტერსა. ამას გარდა კახეთში და იმერეთშიაც მრავალი მამულებია შეწირული. დღეს ქართველებისაგან აგებულს მონასტრებს განაგებენ ბერძნის ბერები, რომელთაც ქართველები გამოუდევნიათ, და ამის გამო მამულებიც მათს ხელშია. ბერძნის მონასტერი, ბერძნის ბერი და ქართველი-კი ემსახურება და რამდენი ხანია ეწევა ჭაპანსა. ვისთვის და რისთვის, კაცმა არ იცის. სოფელს დირბში მხოლოდ ორმოც-და-რვა კომლი გლეხი შეუწირნიათ საქართველო მეფეებსა თავიანთის მამულ-დედულით; ბოლოს ხალხი გამრავლდა, გაიყიდ-გამოიყიდა და დღეს დირბსა და ტახტამირში სამას კომლამდე იქნება სულ გლეხობა; აზნაური სულ შვიდი კომლი არ არის. დღეს დირბის და ტახტამირის მამული გამმიჯვნელის კომისიის გამოანგარიშებით სამი ათას დესეტინაზე მეტია და არა ნაკლები; მაშასადამე, ეს ამოდენა მამული სულ სამონასტრო არ იქნებოდა, ეს იქნებოდა კუთვნილება მხოლოდ იმ ორმოც-და-რვა კომლისა, რომელიც შეუწირავთ (ეს ცნობა ამოღებულია დ. ბაქრაძის წიგნიდამ, რომელშიაც მონასტერი და ეკლესიებია აღწერილი). აქ ყოფილან და არიან აზნაურნიც და სახელმწიფო გლეხნიცა, და აი სწორედ ამ სახელმწიფო გლეხთა მამულებისათვისაც ბერძნის ბერებს ხელი მოუკიდნიათ, გლეხება გაუბეგრნიათ, უმიათ და მამულიც სამონასტროდ დაუდვიათ. ამას გარდა ბერძნის ბერებმა ათას რვა ას ორმოც წლებში აზნაურების მამულსაც მოჰკვიეს თურმე ხელი და, თუმცა ბევრს ეცადნენ აზნაურები, მაგრამ მაშინდელის დამბეგრობის წყალობით რამდენიმე ნაჭერი მამულისა მაინცა და მაინც ჩაავლიჯეს.

რას კვირვებია, ს. ხელმწიფო გლეხებს რომ თავი ეცნობებინათ, გამოეცხადებინათ, სადაც ჯერ არს, იმათ მამულს მასცემდნენ სახელმწიფოდ; დღეს-კი საქმეს აღარა ეშველება-რა: გამმიჯვნელმა კომისიამ წელს მთელის დირბის მონასტრის მამულები ცნობაში მოიყვანა. სულ სამი მონაწილე აღმოჩნდა: ორის გვარის აზნაურშვილები და ბერები; სახელმწიფო გლეხების მამულები, ე. ი. ის მამულები, რომელიც მათ დღემდის სჭერიათ, მონასტრის სახელობაზე შემოიყორღნა.

დირბის გამიჯვნის დროს მეზობლებმა ხელას მოთხოვა დაიწყეს; საზღვრებზე დავა გამოუცხადეს ბერს და ბევრმა უდავოდაც შემოიყორღნა რამდენისამე ასის დღისა, მაგალითად ჩრდილოეთით სამასის დღისა ჩააჭრეს და უდავოდ შემოიყორღნეს; ეს სამასის დღის ადგილი ტყიან-ჭალიანია და დირბელი კაცი ვერ ასცდება; დღევანდლამდე მცირე ხარჯს იხდიდა, მაგრამ დღეს კი, ვინ იცის, ახალმა პატრონმა შიგაც არ გაატაროს. საკვირველია, ამოდენა მამული ასე ადვილად როგორ დასთმო მონასტრის წარმომადგენელმა, თუ აქ სხვა მიზეზი არა არის-რა. საზღვრებზე ბლომ-ბლომად ჩაავლიჯეს უცხო კაცებმა, შიგნით-კი, როცა საწყალმა მცირე მამულიანმა აზნაურებმა დავა გამოაცხადეს თავიანთს საკუთარს მამულზე, რომელიც ბერებისაგან აქვთ წართმეული, როგორც გლეხობამ, ისე ბერის წარმომადგენელმა და თვით გამმიჯნავმაც სულ ბუწუწები გაიყურევინეს. გლეხობას კიდევ თავისებური საბუთი აქვს გაწიწმატებისა: იმას ჰგონია, რომ მამული ჩვენ დაგვრჩებაო. როდესაც მე ერთს გლეხს ვკითხე: რად ეკაფებით ბერებს ზედა-მეთქი? ხომ ჰხედავთ, რომ თქვენს სახელზე არა იყორღნება-რა, რა გინდათ, ისევ ჩვენებურს, ჩვენ ქართველს კაცს ერგოს, თქვენს მეზობელს, ის არა სჯობიან-მეთქი?.. და ასეთი პასუხი მივიღე: «ბერებს აქ მამული ვინ მისცა, დღეს თუ ხვალ სულ ჩვენ დაგვრჩება და იმიტომ ვართ თავგამოდებულნიო».

თუმცა ასე ჰგონიათ, მაგრამ საქმე კი სხვა ნაირად დატრიალდება: როგორც გავიგეთ, ყველა გლეხს, რომელიც-კი სამონასტრო მამულზე დგას, მიეცემა საკომლო (НАДѢЛЪ). დირბში, რადგანაც ბევრი მამულია, შეიძლება ათ-ათის დღიანს მისცენ და ვენახებიც მიჰყიდონ. სასურველია ყველასათვის, რომ მამული მთლად დარჩეთ გლეხობას, მაგრამ ეს წარმოუდგენელია. მხოლოდ ეს კი უნდა იქონიონ სამონასტრო გლეხებმა მხედველობაში, რომ დღეს თუ ხვალ ბერძნის ბერებს და მონასტრებს მამული ჩამოერთმევათ და ამიტომ, როგორც გავიგეთ, ბერები თურმე გაყიდვას უპირობენ მთლად ყველა იმ მამულსა, რომელიც კი საკომლოს გარედ დარჩება; ასე ჩაიდინეს იმერეთშიაცო: მამულები დაუყიდნიათ. ადვილი წარმოსადგენია, რომ მამულს ფულად აქცევენ და წავლენ და გაეცლებიან აქაურობასა. რამდენადაც ვიცით, დირბის გლეხობა შეძლებულია; უნდა შეაგროვონ ფული, ერთად იყიდონ მთლად მამული და შემდეგ იმისდა გვარად, ვინ რამდენი ფული შეიტანა საზოგადო კასაში, გაიყონ მამული. თუ ეხლავე არ ითავდარიგეს, შეიძლება გლეხებს ხელიდამ გამოაცალოს რომელმამე მდიდარმა მემამულემ, ან რომელმამე ბაიყუშმა კაცმა, რომლის ხელიდამ არამც თუ მამულის დახსნა გაძნელდება, ვერც თვით გლეხობა ეღირსება კეთილსა.

---

**შიდა-კახეთი, ოქტომბრის 5.** ალაზნის მდინარე შიდა-კახეთსა ჰყოფს ორ ნაწილად: მარცხნივ, კავკასიონის მთების ძირში გამწკრივებულ სოფლებს ჰქვიანთ გაღმა-მხარი, და მარჯვნივ, ცივ-გომბორის აღმოსავლეთ ფერდობზე მდებარე სოფლებს გამოღმა-მხარი. ეს ორი მხარი კახეთისა განირჩევა ერთი-ერთმანერთისაგან, როგორც მდებარეობით, ჰავით, მრეწველობით, აგრეთვე მცხოვრებთა ჩვეულებით. გაღმა-მხარი კარგად დაცემული, ტყიანი და წყლიანი ადგილია; გამოღმა მხარი-კი უფრო ფერდოებიანია, ტყე და წყალი ნაკლებადა აქვს. პირველში ჰავა გრილია და მოსავალიც უხვი იცის, ნაკლებად მისდევენ ვენახების კეთებას, რადგანაც იქ, მდებარეობის და ჰავის გამოისობით ვერა მწიფდება ყურძენი და ამიტომ ისეთი ღვინოები ვერა დგება, როგორც გამოღმა-მხარში. სამაგიეროდ გაღმა-მხარში ძალიან ეტანებიან ხვნა-თესვას, ბაღოსნობასა და თამბაქოს მოყვანას.

თუმცა გაღმა-მხარი ცოტა მოშორებულია მაზრის ქალაქებს, თელავსა და სიღნაღს, რომლებიც გამოღმა-მხარში მდებარეობენ, მაგრამ მაინც ეს მხარი არ არის მიყრუებული, ცოტადა თუ ბევრად ამასაცა ჰსწვდება განათლების სხივები. აქაურ სოფლებში ჰნახვთ ერთსა და ორკლასიან სასწავლებლებს. აი თუ გინდ სოფელი საცხენისი. აქ არის ნორმალური სასწავლებელი, სადაც სხვა საგნების გარდა ფუტკრის მოვლას და ბაღოსნობასაც ასწავლიან ყმაწვილებს; დიდად ისიამოვნებთ, როცა ინახულებთ ყმაწვილების ხელით ნაკეთებ ბაღჩებს, ხელოვნურ ნამყენებსა, ორმოცამდის გამწკრივებულ ფუტკრის სკასა და და მრავალ ჯურის ახალ გეჯებს. როგორც ხმები ისმის, ამ სასწავლებელს უპირობენ გაუმჯობესობას, კლასების და მასწავლებლების მომატებას და მაშინ უფრო, რასაკვირველია, კარგად წავა ამ სასწავლებლის საქმე.

სხვა სოფლების სკოლებზედ არაფერს ვიტყვით, რადგანაც ისინი თავიანთ სუსტის მნიშვნელობით წააგვანან გამოღმის სოფლის სკოლებსა.

---

გაღმა მხრის ხალხი უფრო მხნე, გამრჯე და სისუფთავის მოყვარეა; ნამეტნავად დედაკაცები გამრჯელობით და სისუფთავით გაცილებითა სჯობიან გამოღმა მხრის ქალებს. მაგრამ ეს არის საკითხავი, საიდგან მიიღეს გაღმა-მხრის ქალებმა „ფართუკების“ ხმარება, რომელსაც აქ ყველანი მისდევენ. ამბობენ, ვითომც ლეკების დედაკაცებიც ფართუკებსა ხმარობენო და, რადგანაც გაღმა-მხრელებს და ლეკებს ერთმანერთში მისვლა-მოსვლა აქვთო, ამიტომ იმათგან ექმნებათ გადმოღებულიო.

---

უწინ, როგორც გვიმტკიცებს ცივ-გომბორის წვეროებზედ ნაშენი ციხეები და ეკლესიები, გამოღმის სოფლები უფრო ზევით უნდა ყოფილიყვნენ. მაშინ ალაზნის ველი უფრო დიდის ტყეებით და ჭალებით იქნებოდა შემოსილი. მოსწრებულნი ამბობენ, რომ იქ დიდი ტყეები იყო და სახლების ასაშენებლად ყველა ნაირი მასალა გამოჰქონდა ხალხსაო. ეხლა-კი ისე გაკაფეს, რომ იმ ადგილას აქა-იქ ჯაგების მეტს ვერას ნახავთ. თან-და-თან სოფლებს ქვევით, ალაზნისაკენ, დაუწევია. უწინ, როგორც გვიჩვენებს გადმოცემა და აგრეთვე გვიმტკიცებს არხის ნაშთები, გამოღმა მხარში ალაზნიდგან არხი ყოფილა გამოყვანილი, მაგრამ, როგორც თამარ მეფის არხს და ზოგიერთა სხვა არხებს საქართველოსას, ალაზნის არხსაც ჟამთა ვითარების გამო ბოლო მოჰღებია. ეხლა, რომ ალაზნის არხი ისევ არსებობდეს, ამას ხომ არა ემჯობინება-რა! როგორ სიკეთეში ჩავარდებოდა გამოღმა მხარი ამ უწყლობის დროს! რამდენ ნაირ საქმეს არ მოჰკიდებდნენ ხელს ჩვენი კახელები! განა ახლა-კი არ შეიძლება არხის გამოყვანა? მაგრამ სად არის ისეთი ღვთისნიერი კაცი, რომ აღძრას კითხვა ამ არხის განახლებაზედ.

არხის გარდა ბევრი სხვაც აკლია კახეთს. აი, მაგალითად, ვერ იქნა, ვერ ეღირსა რკინის გზა ამ მშვენიერს კახეთსა. თუმცა ეხლა-კი ცოტა არ იყოს იმედოვნებენ გამოღმა-მხრელები, რადგან აქ სახელმწიფო ზვრებია, და ქვემო მხარშიაც ბევრმა დიდ-კაცმა შეიძინა ადგილები. რასაკვირველია, ესენი ეცდებიან რკინის გზის გამოყვანას. მაშინ გაჩაღდება მისვლა-მოსვლა და ასე მივარდნილი აღარ იქნება კახეთი, როგორც ეხლა არის. გზის გაყვანა, უეჭველია, ასწევს კახეთის მრეწველობას, რომელიც ეხლა უბადრუკად დაცემულა. მართალია, მევენახობას მისდევენ, მაგრამ ეს ხელობაც არ იციან რიგიანად. აბრეშუმის, ბამბის და იასამანის მოყვანას ძალიან მისდევდა ხალხი მესამოცე წლებში, მაგრამ დღეს ესენი სულ თავ-მინებებულია. მაშინ ჩვენს ქალებს ხელ-საქმე უფრო სცოდნიათ, ვინემ ახლა. მე თვითონ ვნახე სოფ. ბაკურციხეში მიცვალებულ სოლომონ ანდრონიკაშვილის სახლში შინ-ნაკეთების აბრეშუმის ქსოვილი, რომელიც გაცილებით სჯობია ეხლანდელ იტალიურ ქსოვილსა.

ბაღოსნობაც საშინლად დაცემულაა დღეს. მესამოცე წლებში ამ მხრით ცოტა რამ მაინც კეთდებოდა, და ეხლა მაშინდელი ნამოქმედარიც-კი ფუჭდება და დავიწყებას ეძლევა. მაგალითად, განსვენებულმა აგრონომმა, ივანე ოქრომჭედლიშვილმა ააშენა სოფ. კისისხევში სახელმწიფო ბაღი, რომელიც იმის დროს ყველაფრით მოწყობილი და ყველა ნაირ ხეხილით სავსე იყო, მაგრამ შემდე-

---

იქ წავალთ ცხენით, საგზლითა;
როდესაც დაგვიქროლებენ,
იახსარ[75]) უდგა ლახტითა.
არახიჯა[76]) ციხესა ჰგავ,
ე ღეთისაგან დაწყეული;
ჩვენ ქალებ იქ ვერ ილხოვრებს,
მეედანში დაჩვეული.
ან თქვენ რა რიგადა სცხოვრობთ?
თვალ თუ გაქვისთ შაჩვეული!
კარზე როგორ გამოსდიხართ,
ან ბებერი, ან სნეული?
სუ ყველა საბლით დაგიბამთ,—
ტაგან[77]), ჩხუტი[78]), სარძეული!..

—

სიბერის დროს არ მეგონა,
თუ ქალ შამამეჩვეოდა;
ჯერ დამიდებდა იმედსა,
მერე გადამეთხეოდა[79]);
წმინდამ გიორგიმ დასწყევლოს,—
ამის მეტ რა მეთქმეოდა!..

—

მთას მარახული[80]) მაჰკიდა,
წყემსო, აჰყარე ცხვარიო;
არ მოგწყინდაა მთას ყოფნა,
არ მოგინდაა ბარიო;
ლამაზის ქალის მოხვევნა
იმასთან საუბარიო?..

—

მე ხომ კარგა ვერ დავცადე
საფუტკრეში ძილი-წოლა;
იქ რომ დამკოდა ფუტკარმა,
მეტკინა და გამათრთოლა.
ქალა რასამ მეუბნება,
იმან უფრო დამალონა;
თეითან გაიხსნა საკინძი,
გული პირზედ დამატოლა;
თეთრ იყო ბამბასავითა,
ნეტავი არ მომაშორა!
ცოცხალი ვარ, იმასთან მქნა,
მოვკვდები, თან ჩამაყოლა!

—

ქალსა დედა ეუბნება:
„ჩვენს რად დავა ბატარაო?“
— ჩემი სწორა ვაჟაია,
ჩემო დედავ, რად არაო?!

—

შინშო[80]), სპილენძის მათრახო,
ტარამდე ლამაზიანო!
შინშობით ვერას გენდობი,
არამც რა დამაზიანო!

—

მამამ ცხენ წამაყვანინა,
ყეენიანთ მიჰგვარია;
წავიყვანე, შაუძახე:
„სახლის პატრონ ვინ არია!“
ასეთა ქალა გამოჩნდა,
როგორც დილის ცისკარია!
ასეთ გულის პირნი ჰქონდეს,
როგორც ჩალის წიწანია.
ერთ ისეთ ამოვიხვნეშე,
სამჯერ იძრნეს მიწანია!..

—

არა მწადიან ცხვარშია,
ნეტავი დამსვა შინაო;
ფესტემალაად მაქციევა,
ქალებს ამაკრა წინაო!
ანამც მაქციევა წყილადა,
უბეში ჩამაძერინაო;
კარგაის ქალაიასდა
ძუძუზე მაკბენინაო!..

—

ნეტავი დამიწუნებდეს,
დამანებებდეს თავსაო;
ვიყლიდი ლაშარ-ღელესა,
ვაჟებს ვაელებდი თვალხაო,—
მაშინ ხომ შაეეყრებოდი
ჩემის გუნების ქმარსაო,

—

პატარა ხარ, მაგეთი ხარ,
გაიზდები, რა იქნები?
წახვალ ცაში გაჰფრინდები,
შავარდენი შაიქნები!

—

შენი ჭირიმე, შენიო,
აბრეშუმს გიგავს წვერიო!
სალექსოდ ნურას დაზოგავ,
ჯიბეს გაიკარ ხელიო;
ან ამაილე აბაზი,
ან უზალთუნი ჭრელიო,
შაურს-კი ნუ ამაილებ,
უსუსურია, თხელიო;
მარჯვენა ხელი გაუხმეს,
ვინც მაგას დაჰკრა კვერიო!..

—

თქვენს მტერთა აისითაი,
რო თუშთა-ფშაველთ მოსვლია,—
გალავან შემორღვევია,
შირაქში ციხე დაშლია!
გაუგონავის თათრებსა,
თიროუზან დარჩა ფშავშია...
ნუ გიხარიანთ, თათრებო,
ნუ იკვეხთ ჯამაათშია;
კიდევ ჩამოვა თიროუზან,
სადოლლოდ თავის ცხვარშია;
კიდევ შავალის თიროუზან,
ხმლიანი თათრის ჯარშია;
თან შაჰყვებიან თუშებიც,
მორთულნი „ჯვარ-მენდალშია“,
გაიყვანს უძილაური,
რაც მაუვალის ჭკვაშია.

—

ატირდა ბატონიშვილი,—
ერეკლემც მომცა მთელიო;
შაყრილსა. . . . . . .
სუ ჩემად მეეყვა ხელიო;
სუ შამეყარნეს ბაკშია,
ცხვრებულად მეჭრა ყელიო.
წავიდა სალეკეთოდა,
ცხარე იწმინდა ცრემლიო;
გრიგოლო ჩოლოყაშვილო,
ახლა თაობა შენია:
ამოხვედ ფშავ-ხევსურეთში,
მოგვიდევ ცეცხლის გენია!..

—

გაზაფხულისა პირზედა
შაშვმა დაიწყო გალობა...
ქორწილის გამხარებელო,
დავწვი ეგ შენი ქალობა;
არ იცი თავისიანი,
თუ-კი შაატყე ფშავლობა!..

---

[75]) დევ-კერპთ მხოცველი გმირი იყო.
[76]) სოფელია ფშავში გვერდობიან ადგილზედ.
[77]) საწველელი.
[78]) სადღვებელი.
[79]) გადამეკარგებოდა.
[80]) ჭირხლი, რთვილი.

[80]) დეიდაშვილი

გში უპატრონობისა გამო სულ მთლად გაოხრდა.

ეს გახლავთ დღეს ჩვენი აგ-კარგიანობა და არ ვიცით, როდის ვეღირსებით უკეთესსა.

თომა გახელი

# უცხოეთი

**გერმანია.** გერმანიის ესკადრა ნოემბერში წავა მაროკკოსკენაო, სწერენ გაზ. „Новости"-ს დეპეშით ბერლინიდამ.

— იქიდამვე სწერენ ამავე გაზეთს, რომ პრინცი ვილჰელმი მიდის თავის ავადმყოფის მამის სანახავადაო. ხმები ისმის, რომ მემკვიდრეობა თავის შვილს უნდა გარდასცეს თავისმა მამამაო.

— ზეკენმოსაუში არჩევანებზე პროგრესისტს ფორკენბეკს გაუმარჯვნია. მთავრობის კანდიდატი რეინკე ძალიან დამარცხებულა. პირველს მიუღია 6171 კენჭი, მეორეს-კი მხოლოდ 3824.

— რეიტერის დეპეშა ამბობს, რომ გერმანიისა, იტალიისა და ავსტრი-ვენგრიის კავშირი ხუთის წლობით არის შეკრულიო, მაგრამ პირობაში ერთი მუხლია, რომლის ძალით იტალიას უფლება აქვს მინიჭებული, რომ ნეიტრალიტეტი დაიცვას, თუ ვინიცობაა გერმანიასა და საფრანგეთს ომი აუტყდათო.

**ინგლისი.** პრინცი ალექსანდრე ბატენბერგი 11 ოქტომბერს მისულა ლონდონში.

— 10 ოქტომბერს გოვარდენის ცირკ-დარბაზში კრება ჰქონიათ ლიბერალთა დასის მეთაურებს. ამ კრებას დასწრებია სხვათა შორის ლორდი როზბერი, ლორდი ვულვერტონი, ლორდი სპენსერი, ბ-ნი ჯონ მორლეი და პროფესორი სტუარტი.

— ყველგან ინგლისში კრებანი იმართება და ყველა ამ კრებაზე მთავრობასა ჰკიცხავენ ირლანდიის საქმის გამო. უფრო ბრადლო ცხარობს ხოლმე ამ კრებებზე.

— მკითხველს უნდა მოეხსენებოდეს, რომ ირლანდიის საერო ლიგას ასზე მეტი სხვა-და-სხვა განყოფილება აქვს და თითოეული განყოფილება ცალკე მოქმედობს ირლანდიის სასარგებლოდ. მთავრობამ ზოგიერთა განყოფილებანი გააუქმა, მაგრამ რამდენმამე ამ გაუქმებულმა განყოფილებამ კრება მაინც გაჰმართა და პოლიციამ ვერა დააკლო-რა. ზოგიერთა კრება პოლიციის თვალ-წინ იმართება და პოლიციის ხალხს ვერა გაუწყვია-რა.

— მელბორნის განყოფილებამაი როგორ მოახდინა კრება. კრებაზე დასწრების მსურველნი ჩასხდნენ ნავებში, გასცურეს ნაპირი, შევიდნენ შუა წყალში და იქ გაჰმართეს მიტინგი. პოლიცია იდგა ნაპირას და შესცქეროდა სეირს.

— მიჩელსტოუნის განყოფილებას ირლანდიის ლიგისას მოუვიდა თანაგრძნობის წერილები რამდენისამე ინგლისელისაგან. ჩვენაო, სწერდნენ თავისუფლების მოყვარე ინგლისელნი, აღშფოთებულნი ვართ ტორიების სამინისტროს უსამართლო ქცევის გამო ირლანდიაშიო.

— დუბლინის კრებამ, რომელიც შესდგა ო'ბრიენისა და დუბლინის ლორდ-მერის განსამართლების გამო, დაადგინა შემდეგი განაჩენი: „დღევანდელი კრება დუბლინის მოქალაქეთა გულ-ამღვრეულია ტორიების სამინისტროზე იმ უსირცხვილო მტარვალობისათვის, რომელიც მან გამოიჩინა დუბლინის ლორდ-მერისა და ო'ბრიენის შესახებ. ამ მოღვაწეთ მან დაუწყო დევნა მხოლოდ იმიტომ-რომ დაჰბეჭდეს თავიანთ პატრიოტულს გაზეთებში ანგარიში საჯარო კრებათა. მართალია, ამ დევნით ვერა მოახერხა-რა, მაგრამ ასეთის ქცევით ცხადად დაამტკიცა, რომ მზად არის ჩაიდინოს ყოველივე, ოღონდ-კი დაარღვიოს თავისუფლება მწერლობისა ირლანდიაშიო".

# წვრილი ამბები

— ვენგრიის ერთს ქალაქში, სახელდობრ არადში, თავი მოიკლა ამ დღეებში ერთმა ოპერეტტში მომღერალმა ქალმა, ლენკე შპანიმ. ამ ქალს ძრიელ ჰყვარებია ერთი თავისი ამხანაგი, მაგრამ ეს უკანასკნელი ისე გულ-გრილად ეპყრობოდა, რომ ქალმა ვეღარ აიტანა და თავის მოკვლა გადასწყვიტაო.

— ამ დღეებში გარდაცვლილა პარიჟში იმპრესსარიო მავრიკი სტრაკოში. სტრაკოში დაიბადა ვენგრიაში, იტალიაში ისწავლა მუსიკა, ამერიკაში აღმოაჩინა, რომ ადელინა პატის დიდი ნიჭი აქვს მღერისაო და მას შემდეგ მისი იმპრესსარიო შეიქმნა. სტრაკოში ნათესავადაც მოჰხვდებოდა პატის. სტრაკოში სიკვდილამდე სულ იმის ფიქრში იყო, რომ ახალ-ახალი ნიჭიერი კაცი და ქალი მოეძებნა სადმე.

— ყანდაარსა და პიშინში, როგორც იწერებიან კალკუტიდამ, ამ ბოლოს დროს ხოლერა გაჩენილა.

— ტონუერში გარდაცვლილა იტალიის ელჩი სკოვასსო. ეკკლესიაში ანდერძის აგების დროს მრავლად შე[illegible]ბილან ისრაელნი, მაგრამ ტონუერის ა[illegible]ის ყველანი გარედ გაურეკია ეკკლესიიდ[illegible].

— „Birlliner Tageblatt"-ის სიტყ[illegible]თ, რუსეთის საზღვარზე შემდეგი ამბავი მომხდარა: პრუსიიდამ მისულა ერთი კარგად ჩაცმული ქალი, რომელსაც თან ჰყოლია ძიძაცა პატარა ძეძუთა ყმაწვილით. მებაჟე დარაჯებს რომ სინჯვა დაუწყვიათ ბარგისა, ქალს უთქვამს, ძალიან მეჩქარება, ყმაწვილი ავადა მყავს და მალე გამისტუმრეთო. ქალიც გაუნთავისუფლებიათ, მით უმეტესს, რომ არა უპოვნიათ-რა ბარგში. ის იყო თავს უშვებლიდა ქალი, მაგრამ დახე ხიფათს! ერთს დარაჯს შეემჩნია, რომ ძიძა ყმაწვილს ერთ თავად ანძრევს და ყმაწვილი-კი არა სტირის. გასინჯეს ყმაწვილი და აღმოჩნდა, რომ ამ ყმაწვილს თავი ჰქონდა მარტო, და ისიც სანთლისა, და ტანის მაგიერ დახვეულები იყო კრუჟევოები 10,000 მანათისა.

# დეპეშა

8 ოქტომბერი

**სიმლა.** ჰერათს გაუგზავნიათ ამალა, რომელიც უნდა შეხვდეს კაპიტანს იეტს და მაიორს პიკოკს.

**პარიჟი.** გენერალი კაფარელი სამსახურიდგან დაუთხოვნიათ და ჯარის სიიდგან გამოურიცხავთ.

**ბომბეი.** ეიუბ-ხანის ერთი ადიუტანტი ხასან-ალი მისულა ხაზარანოიში. ამიტომ ემირმა გაგზავნა იქითკენ საზამთრო სადგომებში ოთხი ათასი ქვეითი ჯარი და ერთი საარტილერიო ბატარეია.

**ნოტინგემი.** გლადსტონმა მოიხსენია ლიბერალების დასის პროგრამა შესახებ იმისა, თუ როგორ უნდა გადასწყდეს ირლანდიის საქმე. გლადსტონმა სთქვა: ჩემმა საკუთარმა აზრმა ხელი არ უნდა შეუშალოს მაგ საქმის დასრულებასაო; მე წინააღმდეგი არა ვარ სახელმწიფოს ერთობისა, მაგრამ უყურადღებოდ არ დავტოვებ არც ერთს სამართლიანს წადილს უმცირესის ნაწილისას. თვისი სიტყვა გლადსტონმა დაასრულა იმით, რომ მიმართა ირლანდიელთ და სთხოვა ნურაფერთარს დანაშაულობას ნუ ჩაიდენთ, რაც უნდა სასტიკი ზომა ახმარონ თქვენს წინააღმდეგაო.

9 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით „გატცუკის" გაზეთი შეჩერებულია რვა თთვით.

„Новое Время" იუწყება: სახელმწიფო საბჭოში უნდა შეიტანონ პროექტი იმის თაობაზე, რომ გადასახადი დაედოს იმ საქონელს, რომელიც გადააქვთ რკინის გზით ნელის სიარულითა. აგრეთვე უნდა აწიონ გადასახადი გაუპენტავს ბამბაზე. იმ გაუპენტავს ბამბაზე, რომელიც ხმელეთით შემოაქვთ, გადასახადს მოემატება 15 კაპ. ოქროთი იმასთან შედარებით, რომელიც შემოაქვთ ოდესისა და ლიბავის ნავთსადგურებითა.

გაზეთი „Новости" იუწყება: იმისათვის, რომ სპირტის გატანა გააადვილონ საზღვარ გარეთ, მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილების ძალით, ფინანსთა მინისტრს შეუძლია იმის ნება მისცეს არყის სახდელ და სპირტის საწმენდ ქარხნების პატრონებს, რომ სპირტი გაიტანონ გირაოს წარუდგენელად.

„Гражданинъ"-ი იუწყება, რომ საფინანსო დაწესებულებათა გადაკეთება და გადასახადის საქმის ინსპექტორების დანიშვნა ტობოლსკის, ტომსკის გუბერნიებში და „სტეპნოის" და თურქესტანის საგენერალ-გუბერნატოროებში გადადებულ იქმნა, ჯერ-ჯერობით ინსპექტორები დაინიშნებიან მხოლოდ სტავროპოლის გუბერნიაში და ამიერ კავკასიაში.

**ლონდონი.** მუშაობას მოკლებულთაგან დეპუტაცია მიიღო შინაგან საქმეთა სამინისტრომ; ლორდ-მერმა შეჰყარა კომიტეტი, რომელსაც საგნად აქვს გამონახოს ღონისძიება მუშა ხალხის უკიდურეს და უბედურ მდგომარეობის მოსასპობლად.

### პეტერბურგის ბირჟა, 6 ს ოქტომბერ

ფასები:

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — » | — » | 8 95½ |
| ტამოჟნის კუპონები | — » | — » | 179 |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — » | — » | 1 30 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — » | — » | 266¼ |
| — მეორისა | — » | — » | 243 |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა | — » | — » | — » |
| ქუთაისის ბანკისა | — » | — » | — » |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — » | — » | — » |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7395.**
ძველი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქრონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქრონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

ოქტომბერი 31 დღით არის

**10 დღე** შაბათი. წმ. მოწ. ევლამპისა და დისა მისისა ევლამპიასი. ღირს. თეოფილესი და სხ. კათოლ. სამადლობელო ღვთის-მსახურება ხოტინის გამარჯვების სახსოვრად. სომეხ. წმ. მთარგმნელ ვარდაპეტთა სომეხთა: მესროპისა, ეღიშესი და სხვათა. მუსულ. მე-5 რიცხვი თთვისა საფარისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45. ტფილისში მზე ამოდის 6—21, ჩადის 5—8. მთვარე 6 დღისაა.

**11 დღე** კვირა. წმ. ფილიპპე მოციქულისა. კათოლ. წმ. ფრანცისკე ბორგიასი. მუსულ. მე-6 რიცხვი თთვისა საფარისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—დაიწვა ტფილისის თეატრი, უგანათლებულესს თავ. მ. ს. ვარანცოვის მთავარ-მართებლობის დროს აღშენებული, 1874 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11-44. ტფილისში მზე ამოდის 6—23, ჩადის 5—7. მთვარე 7 დღისაა.

**12 დღე** ორშაბათი. ღირს. კოსმან მგალობელისა. კათოლ. წმ. ალმსაარ. ლიუდოვიკ ბერტრანდელისა. სომეხ. პოვნა ნაწილთა წმ. გრიგოლ ალვანის კათალიკოსისა; წმ. თათლოსი და სხ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—24, ჩადის 5—5. მთვარე 8 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

### ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე.

| | |
|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა | 3 » |
| » 2 » | 2½ » |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 » |
| » » 2— | 3½ » |
| » » 3 » | 3 » |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | |
| 1-ლის ხარისხისა | 5 » |
| მე-2 ხარისხისა | 4 » |
| მე-3 — | » » |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 » |
| » 2 » | 6 » |
| სუკი | 13 » |
| ცხვრის ხორცი | 7 » |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | » » |
| » 2 » | » » |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმს სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს კადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭირო არის ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.


## კერძო განცხადებანი

ქართული სალმრთო წიგნთ-საკითხავი, რომელიც იმყოფება ბაზრის ქუჩაზე, იარმუკის ბოლოში, მე-14 №-ში, ღიაა ყოველ-დღე ნაშუადღევის 4 საათიდამ 9 საათამდე. წიგნთ-საკითხავში შესვლა და წიგნების იქვე კითხვა, თუ გარედ წაღება, შეუძლიან ყველა წოდების კაცს. წიგნის კითხვისათვის არავის არავითარი ფასი არ გამოერთმევა.

# Н. П. ЛАНИНЪ,

**КОММИССІОНЕРЪ ОБЩЕСТВА РУССКИХЪ ВРАЧЕЙ ВЪ МОСКВѢ,**

**Фирма существуетъ съ 1854 г.**

(Москворѣцкій мостъ, собствен. домъ, въ Москвѣ).

**Телефонъ № 764.**

Фирма удостоена **ВЫСОЧАЙШЕЙ БЛАГОДАРНОСТИ въ 1875 г.**, права на получение **ГОСУДАРСТВЕННАГО ГЕРБА въ 1884 г.** и многихъ другихъ наградъ на Всероссійскихъ и Иностранныхъ выставкахъ, въ томъ числѣ на послѣднихъ Всемірныхъ выставкахъ въ Антверпенѣ и Ливерпулѣ **ЗОЛОТЫХЪ МЕДАЛЕЙ**, въ Луивиллѣ и Новомъ-Орлеанѣ **ВЫСШИХЪ НАГРАДЪ**, отъ Парижской націон. академіи **МЕДАЛИ 1-го КЛАССА** и въ разное время **ДВУХЪ ПРИВИЛЛЕГІЙ**.

**ФИРМА ИМѢЕТЪ ЧЕСТЬ УВѢДОМИТЬ, ЧТО ЕЮ ВЫПУЩЕНЪ ВЪ ПРОДАЖУ.**

## НОВЫЙ СОРТЪ
## РУССКАГО ШАМПАНСКАГО ИМПЕРАТОРСКАГО
### ПОДЪ НАЗВАНІЕМЪ
# „КЛАРЕТЪ"
## (ВЫСШІЙ СОРТЪ)
## ПО 2 РУБЛЯ ЗА БУТЫЛКУ.

**При оптовой продажѣ дѣлается значительная уступка.**

Означенное вино можно получать прямо съ фабрики ящиками въ 60, 30, 15, и 10 бут. и въ складѣ на Нижегородской ярмаркѣ, на углу Макарьевск и Нижегородской ул., домъ Бочкаревой.

**Въ С[illegible]етербургѣ принимаются заказы у Л. О. КИРШНЕРЪ (ком[illegible]мы), уголъ Невскаго и Бол. Морской, д. № 9—13.**

(2—1)


Дов. цен. Тиф. 9 оккtября, 1887 г Типографія Кавказское Обозрѣніе" (Н. И. Френкель) на Гол. П[illegible] [illegible]т д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე